ჩვენ, ქალებს, დიდი ძალა გვაქვს

ჩვენ, ქალებს, დიდი ძალა გვაქვს

2024

წინამდებარე პუბლიკაციის შინაარსი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მისი რომელიმე წევრი ორგანიზაციის, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ოფიციალურ პოზიციას.

პუბლიკაცია მომზადდა პროექტის „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით.

ტექსტის ავტორი: ნინო ნატროშვილი (გაეროს ქალთა ორგანიზაცია)
ფოტოგრაფი: თაკო რობაქიძე
დიზაინერი: თორნიკე ლორთქიფანიძე
თარჯიმანი: ლელა დუმბაძე
ინგლისური ენის რედაქტორი: მიშელ მინასკანიანი

©გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2024 წელი
ყველა უფლება დაცულია.

მარნეულის მუნიციპალიტეტი
მარადისი 10
ხულდარა და მოლაოღლი 13

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
ასურეთი 22
ჯორჯიაშვილი 28
ჭივჭავი 34

ახალციხის მუნიციპალიტეტი
სპირი 40

ასპინძის მუნიციპალიტეტი
ტოლოში 46
ხერთვისი 53

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი
ჭიაური 60
შრომა 62
ვარდისუბანი 66
კართუბანი 68

თელავის მუნიციპალიტეტი
რუისპირი 72
ყარაჯალა 74

ახმეტის მუნიციპალიტეტი
საბუე 76
ქორეთი 78
წინუბანი 81
ბირკიანი 84



ჩვენ, ქალებს, დიდი ძალა გვაქვს

გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოში 2013 წლიდან, სოციალური მობილიზაციის დახმარებით, სოფლად მცხოვრები ქალების შესაძლებლობებისა და უნარების გაძლიერებაზე მუშაობს. მხარს უჭერს მათ, მუდმივად მონაწილეობდნენ ადგილობრივი პრიორიტეტების განსაზღვრასა და ბიუჯეტის შედგენაში. ამ კომპონენტის მეშვეობით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქალები მოხალისეობრივ აქტივიზმში ერთვებიან, ქმნიან თვითდახმარების ჯგუფებს, ატარებენ საჭიროებების კვლევებს და მათ თვითმმართველობასთან, მრგვალი მაგიდის შეხვედრების ფორმატით წარადგენენ, შემდეგ კი ამ პრობლემების მოგვარებაზეც ზრუნავენ.

სოციალური მობილიზაცია პარტნიორ ორგანიზაციებთან – „ფონდი ტასოსა“ და კახეთის რეგიონული განვითარების ფონდთან თანამშრომლობით, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ხორციელდება. საქართველოს 4 რეგიონში კი – ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და სამცხე-ჯავახეთში ეს კომპონენტი გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში“ ნაწილია და შვეიცარიისა და ავსტრიის მთავრობების მიერაა მხარდაჭერილი.

2019 წლიდან დღემდე, რაც ამ რეგიონებში სოციალური მობილიზაციის კომპონენტი დაიწყო, თვითდახმარების ჯგუფებმა 727 ქალი გააერთიანა. მხოლოდ 2023 წელს მათ 8105 ადამიანი გამოჰკითხეს, თვითმმართველობებთან თანამშრომლობით, 30-ზე მეტი ინიციატივა განახორციელეს, საყოფაცხოვრებო პირობები გააუმჯობესეს, საკუთარი აქტიურობითა და წარმატებით, მოტივაცია სხვა ქალებსაც მისცეს და არა მარტო საკუთარი, არამედ სოფლების ყოველდღიურობაც გაამრავალფეროვნეს. შეიცვალნენ თავადაც: სახლებიდან გამოვიდნენ, თემის ცხოვრებაში ჩაებნენ, ერთმანეთი გაიცნეს და გააძლიერეს, ახალი ცოდნით მეტად თავდაჯერებულები, მიზანდასახულები და სოლიდარულები გახდნენ.

თუმცა, ცვლილებებისკენ გზა სოციალური მობილიზაციის მონაწილე ქალებისთვის მარტივი არ არის. მოხალისეობა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა მათგან სტერეოტიპებთან გამკლავებას, გამბედაობასა და სირთულეების გადალახვას მოითხოვს. სამწუხაროდ, წარმატებული შედეგების მიუხედავად, ქალების შრომა და წვლილი სათანადოდ დაფასებული არ არის, ამიტომ ეს პუბლიკაცია სწორედ მათ ღვაწლზეა: ნამდვილ, შთამბეჭდავ ცვლილებებზე, რომლებმაც პროექტის პირველ ეტაპზე ქვემო ქართლში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში სოფლების ყოველდღიურობა გამოაცოცხლა, ახალი ფერებითა და იმედებით გაამდიდრა.

ამბები, რომლებსაც წაიკითხავთ, თქვენც შთაგონებით აგავსებთ და კიდევ ერთხელ დაგარწმუნებთ, რომ ქალებს, მართლაც, დიდი ძალა აქვთ.

ქვემო ქართლი

მარნეულის მუნიციპალიტეტი

მარადისი

1989 წელს აჭარაში ჩამოწოლილმა მეწყერმა ათასობით ადამიანი ეკომიგრანტად აქცია. მშობლიური კუთხის დატოვების შემდეგ ნაწილი ქვემო ქართლში, მათ შორის, სოფელ მარადისშიც ჩამოსახლდა, თუმცა 90-იანების მძიმე, სიდუხჭირით სავსე წლებში ახალი ცხოვრების დაწყება ურთულესი აღმოჩნდა. ოჯახები ღამეს ვაგონებსა და ფიცრულებში ათევდნენ, არც წყალი ჰქონდათ, არც – ბუნებრივი აირი და არც – ელექტროენერგია, თუმცა თანდათან ფეხზე დადგნენ, ახალი მოსახლეებიც შემოიერთეს და მარადისი სიცოცხლით სავსე სოფლად აქციეს.

ამჟამად აქ უკვე 49 ოჯახი, სულ 240-მდე ადამიანი ცხოვრობს. მოსახლეობა ნაწილობრივ მესაქონლეობას, ძირითადად კი, მებოსტნეობას მისდევს და მოყვანილ პროდუქტს თბილისში ჰყიდის.

ზოგჯერ, მოულოდნელად, მშობლები აღმოაჩენენ ხოლმე, რომ ბევრი რამის სწავლა შვილებისგანაც შეუძლიათ. მარადისელი ქალების ცხოვრებაში სწორედ ასე მოხდა: ბავშვები, რომლებიც სასკოლო ეკოკლუბში იყვნენ გაერთიანებულები, არა მარტო მათთვის, არამედ მთელი სოფლისთვის მნიშვნელოვანი პრობლემის – ნაგვის გატანის ინიციატორებად იქცნენ.

მარადისელი ახალგაზრდები, რომლებიც ეკოკლუბის წევრები არიან, ადგილობრივ სკოლასთან ნაგვის ხელნაკეთ ურნებს დგამენ. მათ ეს ურნები თავად დაამზადეს და სკოლის ეზოს გარდა, სოფლის ყველა ქუჩაზე განათავსეს.

2022 წლამდე მარადისში ურნები საერთოდ არ არსებობდა. ადგილობრივები ნარჩენებს ცელოფნის პარკებში აგროვებდნენ და სოფლის შემოსავლელსა და გასასვლელში, ნაგავსაყრელად ქცეულ, სპეციალურად ამოთხრილ ორმოებში ყრიდნენ. ზოგჯერ ამ პარკებს საკმაოდ შორ მანძილზე ხელითაც ეზიდებოდნენ, ზოგჯერ კი დახმარებას იმ თითზე ჩამოსათვლელ თანასოფლელს სთხოვდნენ, ვისაც მანქანა ჰყავდა. ურნების არქონის გამო, სოფლის ქუჩებში ნაგავი მეტწილად ძირს იყრებოდა, რაც ზოგჯერ საქონელსაც წამლავდა, ქვეწარმავალსაც აჩენდა და გარემოსაც აბინძურებდა.

„ადრე გვეგონა, რომ ეს ქალების საქმე არ იყო, ქმრებს ვეკითხებოდით ხოლმე, კრებაზე რა მოხდა-თქო. მერე მივხვდით, რომ ჩვენ უკეთ ვიცით და ყველაფერში უნდა ჩავერიოთ“.

მარადისელმა ახალგაზრდებმა ეკოკლუბში გაწევრიანების შემდეგ ჯერ დასუფთავების აქცია გამართეს, მერე კი მეორეული სარეცხის მანქანებისა და კასრებისგან ხელნაკეთი ურნები დაამზადეს და სოფლის ყველა ქუჩაზე დადგეს. ბავშვების ენთუზიაზმმა განსაკუთრებული მოტივაცია დედებს მისცა. ისინი იმ დროს უკვე გაეროს ქალთა ორგანიზაციის სოციალური მობილიზაციის პროექტში იყვნენ ჩართულები და თვითმმართველობასთან სოფლის პრობლემების წარდგენასაც სწავლობდნენ. შვილების აქტიურობის შემდეგ ქალებმა გადაწყვიტეს, მარნეულის მერიისთვის მიემართათ და სოფლისთვის ნაგვის მანქანის გამოყოფა ეთხოვათ. განცხადება დაწერეს, შეხვედრებზეც იარეს, პრობლემას ბოლომდე მიჰყვნენ და დღეს უკვე ნაგვის გასატანად მანქანა აქ კვირაში ერთხელ ან ორჯერ მოდის. მარადისში ერთი ნაგავსაყრელი სულ გადასწორებულია, მეორეზე ნაგავი აღარ იყრება, თუმცა ქალებს სურთ, ეს ადგილიც სწრაფად გასუფთავდეს.

„ადრე გვეგონა, რომ ეს ქალების საქმე არ იყო, ქმრებს ვეკითხებოდით ხოლმე, კრებაზე რა მოხდა-თქო. მერე მივხვდით, რომ ჩვენ უკეთ ვიცით და ყველაფერში უნდა ჩავერიოთ. გავაქტიურდით და სოფლის კრებებსაც სულ ვესწრებით“, – ამბობს მარადისელი ფერმერი და სათემო მუშაკი ნაირა ბოლქვაძე.

რადგან საკუთარი უფლებებიც ისწავლეს და ისიც, თუ სოფლის ინტერესებისთვის რა და როგორ უნდა გააკეთონ, გეგმებიც დასახეს: სოფელში საბავშვო ბაღი არ არის, ამიტომ მშობლებს პატარები მარნეულში, საკუთარი ხარჯებით დაქირავებული მინივენით დაჰყავთ. ქალებს უნდათ, თვითმმართველობას ტრანსპორტის გამოყოფა სთხოვონ და ეს საკითხიც გადაჭრან. სამომავლოდ პარკისა და ღია სცენის მოწყობაც სურთ, სადაც ადგილობრივებისთვის პრეზენტაციებსა და ფილმის ჩვენებებს გამართავენ.

ხულდარელი მასწავლებელი, 53 წლის რამილა აფანდიევა საკუთარ სახლში. რამილა გზის პირას ცხოვრობს. მას შემდეგ, რაც ადგილობრივი ქალების აქტიურობით, ხულდარაში გზა გაიყვანეს, რამილასა და სხვა ადგილობრივების ყოველდღიურობა სრულიად შეიცვალა.

მარნეულის მუნიციპალიტეტი

ხულდარა და მოლაოღლი

ხულდარა და მოლაოღლი საქართველო-სომხეთის საზღვართან მდებარე სოფლებია. ორივე აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობითაა დასახლებული, ამიტომ განსხვავებული სპეციფიკითა და საჭიროებებით გამოირჩევა. ხულდარაში 250-ზე მეტი, მოლაოღლიში კი 300-მდე ოჯახი ცხოვრობს, მათ შორის ახალგაზრდებიც საკმაოდ ბევრნი არიან. ორივე სოფელი ცოცხალი და აქტიურია. მოსახლეობას, ძირითადად, ხილი და ბოსტნეული მოჰყავს და შემდეგ ადგილზე ან მარნეულის ბაზარში ჰყიდის.

„ვამაყობთ, რომ ეს ჩვენ გავაკეთეთ და მოსახლეობასაც ვაჩვენეთ, რა შეგვიძლია. სხვა აზერბაიჯანელი ქალებისთვისაც შევქმენით მაგალითები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია“.

რამილა აფანდიევა ხულდარის საჯარო სკოლაში სამოქალაქო განათლების მასწავლებელია. 53 წლისაა და ხშირად ხუმრობს, რომ ცხოვრების ნახევარზე მეტი მტვრის წმენდაში, შვილების ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის რეცხვაში გაატარა. რამილა სოფლის გზის პირას ცხოვრობს, თუმცა 2021 წლამდე მას გზას ნამდვილად ვერ დაარქმევდით: ის სრულიად დანგრეული იყო. ზაფხულობით ყველა მანქანის გავლა იმხელა ბუღს აყენებდა, რომ არა მარტო რამილას, არამედ მისი თანასოფლებების სახლებშიც მტვრის სქელ ფენას ტოვებდა. წვიმის დროს კი მთელი ხულდარა ტალახდებოდა და ზოგჯერ სკოლაში ბავშვების წაყვანაც შეუძლებელი ხდებოდა.

უგზოობის გამო, განსაკუთრებით ზამთარში, გადაადგილება როგორც ფეხით მოსიარულეებისთვის, ისე მანქანებისთვის არა მარტო რთული, არამედ სარისკოც იყო. საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ დადიოდა, რაიონული ცენტრებიდან ხულდარაში წასვლაზე ტაქსის მძღოლებიც კი უარს ამბობდნენ, ამიტომ სოფლის მაცხოვრებლებს მეზობელ სადახლომდე მისასვლელად 4 კილომეტრის გავლა ფეხით უწევდათ.

„სასწრაფოც ვერ მოდიოდა. ერთხელ სკოლაში მერვეკლასელი დაშავდა და იძულებულები გავხდით, ბავშვი მთავარ გზამდე ხელით ჩამოგვეყვანა. მერე ექიმმა გვითხრა, ცოტაც რომ დაგგვიანებოდათ, გადარჩენა ძალიან გაგვიჭირდებოდაო“, – იხსენებს რამილა.

ამ შემთხვევის შემდეგ სოციალურ მობილიზაციაში ჩართულმა ადგილობრივმა ქალებმა ინიციატივა საკუთარ თავზე აიღეს, ადვოკატირების კამპანიები დაიწყეს, სოფლის კრება ჩაატარეს, ჟურნალისტები მოიწვიეს და მრგვალი მაგიდის ფორმატით გამართულ შეხვედრაზე თვითმმართველობის წარმომადგენლებს პრობლემის მოგვარება სთხოვეს. მათი ნაბიჯები გადამწყვეტი აღმოჩნდა: არა მარტო ხულდარაში, არამედ მეზობელ მოლაოღლიშიც, ამ სოფლების ისტორიაში გზა პირველად მოასფალტდა.

სიახლემ ხულდარისა და მოლაოღლის ცხოვრება სრულიად შეცვალა: გზის პრობლემის მოგვარების შემდეგ სოფლებში ბუნებრივი აირი გაიყვანეს, ნაგვის პრობლემაც შედარებით მოწესრიგდა. სოფელში 5 ურნა დგას – 2 ქალებმა პროექტის ფარგლებში შეიძინეს, 3 კი თვითმმართველობისგან მიიღეს. ახლა მარადისში მიმავალი ნაგვის მანქანა უკვე ხულდარასა და მოლაოღლისაც ემსახურება. სოფლები საკვები თუ ჰიგიენის პროდუქტებით მეტად მარაგდება. რამილა ხუმრობს, რომ ამდენი წლის შემდეგ სტუმრებს უკვე თამამად ეპატიჟება.

„ვამაყობთ, რომ ეს ჩვენ გავაკეთეთ და მოსახლეობასაც ვაჩვენეთ, რა შეგვიძლია. სხვა აზერბაიჯანელი ქალებისთვისაც შევქმენით მაგალითები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია“, – ამბობს რამილა და დასძენს, რომ მის სახლს ხშირი დალაგება აღარ სჭირდება, ამიტომ ახლა აქტივიზმისთვის მეტი დრო აქვს.



ხულდარისა და მოლაოღლის დამაკავშირებელი გზა, რომელიც სოფლების ისტორიაში პირველად მოასფალტდა.

* * *

ბაჰარ მამედოვა და გიუნელ ჯალილოვა 20 წლისები არიან და მოლაოღლიში ცხოვრობენ. ბავშვობის მეგობრებმა და კლასელებმა სკოლის დამთავრების შემდეგაც ერთი პროფესია აირჩიეს და ახლა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფსიქოლოგიას სწავლობენ.

ბაჰარისა და გიუნელისთვის უნივერსიტეტში სიარული მარტივი არ არის. გზის გაყვანის შემდეგ კერძო სამარშრუტო ტაქსი თბილისში უკვე დადის, თუმცა გოგოები ამბობენ, რომ მისი გრაფიკი სწავლის განრიგს ყოველთვის არ ემთხვევა, ამიტომ ზოგჯერ ლექციებზე დასასწრებად სოფელ სადახლოში ფეხით ჩასვლა, შემდეგ ტრანსპორტით გადაადგილება ჯერ მარნეულამდე, მერე კი თბილისამდე უწევთ. საბოლოოდ, მგზავრობისთვის ბაჰარსა და გიუნელს და არა მარტო მათ, დაახლოებით 3 საათი სჭირდებათ. საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოლაოღლის მაცხოვრებლებისთვის კვლავაც პრობლემად რჩება.

ბაჰარ მამედოვა და გიუნელ ჯალილოვა მოლაოღლის გზაზე. გოგოებისთვის თბილისში ლექციებზე დასასწრებად სიარული, ტრანსპორტის გამო, კვლავაც რთულია.

* * *

39 წლის ქამალა ტაშტამიროვას, სარწყავი წლის არქონის გამო, გასულ წელს კარალიოკის 38 ნერგი გაუფუჭდა. ქამალა მოლაოღლიში ცხოვრობს, ბოსტნეული და ხილი მოჰყავს, მოსავლის ნაწილს სახლისთვის ინახავს, ნაწილს კი ადგილზე ან მარნეულის ბაზარში ჰყიდის და ოჯახისთვის დამატებითი შემოსავალი მოაქვს.

ხულდარასა და მოლაოღლიში, ქამალას მსგავსად, ბაღებსა და ბოსტნებში, ძირითადად, ქალები მუშაობენ. ძალიან ბევრს შრომობენ, მაგრამ ზოგჯერ მთელი შრომა წყალში იმიტომ ეყრებათ, რომ ხეხილსა და ბოსტნეულს ვერაფრით რწყავენ. ქამალა ცდილობს, მოსავალი სასმელი წყლით გადაარჩინოს, მაგრამ ეს მცდელობა საკმარისი არ არის.

„კივი მინდა გავახარო. ავზი მაქვს, მაგრამ მაინც ძალიან ვწვალობ. მის სრულად ავსებას 3 დღე სჭირდება, ამ დროში კი მცენარე უკვე კვდება“, – ამბობს ქამალა.

მოლაოღლის მაცხოვრებელი ქამალა ტაშტამიროვა საკუთარ ბაღში ავზში დაგროვებული სასმელი წყლით რწყავს კივის და ასე ცდილობს მცენარის გახმობისგან გადარჩენას. სოფელში სარწყავი წყლის პრობლემა კვლავაც მოუგვარებელია.

ქამალა ტაშტა-
მიროვა სახლში,
თავის ონკანთან.
მოლაოღლიში
სასმელი წყლის
პრობლემა შედარე-
ბით მოგვარდა.

სოციალურ მობილიზაციაში ჩართული ქალების აქტიურობით, ხულდარასა და მოლაოღლიში სასმელი წყლის პრობლემა ნაწილობრივ მოწესრიგდა, თუმცა სარწყავი წყლის საკითხი მოსახლეობას კვლავაც ძალიან აწუხებს, მით უმეტეს, რომ ამ სოფლებში ბოსტნეულისა და ხილის მოყვანა ბევრისთვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. ქალები პრობლემის მოგვარებაზე მუშაობას კვლავაც აგრძელებენ.

სამწუხაროდ, სოფლებში ბავშვებისთვის სათამაშო მოედანი არ არის. ერთადერთი, პატარა, მოკრძალებული სკვერი ხულდარის შესასვლელში ისევ ქალების აქტიურობით გაკეთდა: ყოფილი ნაგავსაყრელი მათ ერთად დაასუფთავეს, დაალაგეს, მერიის დახმარებით გაანათეს, გაამწვანეს, მოწესრიგებულ, კოხტა კუთხედ აქცეს და ბავშვები გაახარეს. თუმცა, ეს პატარა სკვერი ყველასთვის საკმარისი არ არის, ამიტომ ქალებს უნდათ, ხულდარაში ბავშვებისთვის სათამაშო მოედანიც მოაწყონ, გზაზე კი სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები დაამონტაჟონ. მათი კიდევ ერთი საზრუნავი საბავშვო ბაღია: რადგან მთელ თემში მხოლოდ 1 ბაგა ჯგუფია, ქალები იძულებულები არიან, პატარები სადახლოში ატარონ, ამიტომ მათი ერთ-ერთი გეგმა ხულდარაში ან მოლაოღლიში საბავშვო ბაღის გახსნაცაა.

პატარა სკვერი ხულდარის შესასვლელში. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც ხულდარელი და მოლაოღლელი ბავშვები ერთობიან. მათი თანატოლები ხშირად აქ მეზობელი სოფლებიდანაც მოდიან.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

ასურეთი

ასურეთი, რომელიც გერმანული მემკვიდრეობითა და მდიდარი, საინტერესო წარსულით ცნობილი სოფელია, თბილისთან ახლოს, სულ რაღაც 29 კილომეტრში მდებარეობს და გამორჩეული ისტორიით უამრავ ტურისტს იზიდავს. ვიზიტორების განსაკუთრებულ ინტერესს სწორედ ის არქიტექტურა, კულტურა და გარემო იწვევს, რომელიც აქ XIX საუკუნის დასაწყისში ჩამოსახლებულმა გერმანელმა კოლონისტებმა შექმნეს. 1940-იან წლებში გერმანელებს ამ ადგილის დატოვება ისევ მოუწიათ, სოფელში კი, რომელსაც ელიზაბეტალი ერქვა, მოსახლეობა რაჭიდან – ამბროლაურიდან და ონიდან ჩამოასახლეს და მას კვლავაც ძველი სახელი დაუბრუნეს. ასურეთში იმ პერიოდის ღირსშესანიშნაობები ახლაც მრავლადაა. მათ შორის, ლუთერანული ტაძარი, უძველესი, უნიკალური მარანი და გერმანული არქიტექტურული სტილით ნაგები საცხოვრებელი სახლები. ასურეთს უკავშირდება ცნობილი „შალლაც“ – ყურძენი, რომელიც გერმანელმა ოტო შალლმა ვაზის ძველი ტრადიციული ჯიშებით გამოიყვანა. ადგილობრივების მიერ დამზადებული ამავე სახელწოდების ღვინო კი დღესაც სოფლის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია. ასურეთი აქტიური და დიდი დასახლებაა. აქ დაახლოებით 1250-მდე ადამიანი ცხოვრობს.

წყალი მხოლოდ დილით და მხოლოდ სამი საათით – ეს ასურეთის ყოველდღიურობაა, თუმცა სოფელში ის დროც ახსოვთ, როცა თვეების განმავლობაში ონკანებიდან წვეთიც არ მოდიოდა, ამიტომ ამჟამინდელი მძიმე გრაფიკიც მათთვის დიდი შვებაა.

აუზები ასურეთში, საიდანაც მოსახლეობა წყალს იღებს, თუმცა, ფილტრაციის არარსებობის გამო, ადგილობრივები მას მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის იყენებენ.

ასურეთელები წყალს სპეციალური აუზებიდან იღებენ, თუმცა, დაბინძურების გამო, ის დასალევად უვარგისია და მოსახლეობას სასმელი წყლის ყიდვა უწევს.

წყლის პრობლემის მცირედით მოგვარება სოციალურ მობილიზაციაში ჩართული ქალების დამსახურებაა, თუმცა მათ ამ საკითხზე მუშაობა არ შეუწყვეტიათ. ქალების ადვოკატირებით, გაყვანილობის მოწესრიგება დაწყებულია. პროექტი კი 2024 წლის განმავლობაში უნდა დასრულდეს.

ასურეთელი ქალები სეირნობენ ქუჩაში, სადაც მათი აქტიურობით, გზები მოასფალტდა, გარე განათება დამონტაჟდა და გადაადგილება უსაფრთხო გახდა.

„თავიდან სოფელში ბევრს ეგონა, რომ მატერიალური დაინტერესება გვქონდა, პირდაპირ გვეკითხებოდნენ ხოლმე, ფულს რამდენს გიხდიან, ისე თქვენ რა უნდა გააკეთოთო. ახლა, მცირე შედეგები რომ გვაქვს, უფრო თავდაჯერებულები გავხდით და სულ იმას ვფიქრობთ, კიდევ რა არის შესაძლებელი“.

* * *

ასურეთში ხშირად ამბობენ, რომ ბოლო რამდენიმე წელია, ერთმანეთი უკეთ გაიცნეს. ქალების აქტიურობით დამონტაჟებულმა ღამის განათებამ და გზების მოასფალტებამ ჩაბნელებული სოფელი გაანათა, იქაურობა გამოაცოცხლა, გადაადგილებაც უსაფრთხო გახადა, ამიტომ ახლა უკვე ადგილობრივები საღამოობით ასურეთის ისტორიულ ქუჩებშიც სეირნობენ და ერთმანეთთანაც ხშირად იკრიბებიან.

„თავიდან სოფელში ბევრს ეგონა, რომ მატერიალური დაინტერესება გვქონდა, პირდაპირ გვეკითხებოდნენ ხოლმე, ფულს რამდენს გიხდიან, ისე თქვენ რა უნდა გააკეთოთო. ახლა, მცირე შედეგები რომ გვაქვს, უფრო თავდაჯერებულები გავხდით და სულ

54 წლის ნინო ჭელიძე ინახავს პლასტმასის ბოთლებს, რომლებიც სოციალურ მობილიზაციაში ჩართულმა ქალებმა სპეციალურ პუნქტში უნდა ჩააბარონ.

შორენა მეტრეველი ასურეთში, წყاროსთან, სადაც გოგირდის სამკურნალო წყალი ბუნებრივად მოდის. ისტორიულად ამ ადგილის სიახლოვეს გოგირდის აბანოც იყო.

იმას ვფიქრობთ, კიდევ რა არის შესაძლებელი“, – ამბობს სოციალურ მობილიზაციაში ჩართული ერთ-ერთი ადგილობრივი შორენა მეტრეველი.

ქალები თანასოფლელებს გარემოზე ზრუნვის მაგალითსაც აძლევენ: ოთახში, რომელსაც შეხვედრებისთვის იყენებენ, სპეციალური საცავი აქვთ მოწყობილი, სადაც პლასტმასის ბოთლებს ინახავენ. ნაწილს დასუფთავების აქციებისას აგროვებენ, ნაწილი კი მათთვის ადგილობრივებს მიაქვთ. უნდათ, რუსთავში, სპეციალურ პუნქტში ჩააბარონ და მიღებული თანხა ისევ ჯგუფის მუშაობას მოახმარონ.

„ამით გარემოსაც ვიცავთ და შემოსავალსაც ვიზრდით. თანაც, შეგვიძლია, სხვებსაც კარგი მაგალითი ვაჩვენოთ, რომ მერე მათაც მოგვბაძონ“, – ამბობს შორენა.

ქალები მუშაობას აგრძელებენ. შეკრებებისთვის დარბაზის მოწყობა სურთ და ძალიან უნდათ, სოფლის ტურისტული პოტენციალის რეალიზებაში საკუთარი წვლილი შეიტანონ: ისტორიული გოგირდის აბანო, რომლის სიახლოვესაც გოგირდის სამკურნალო წყალი ბუნებრივად მოდის, აღადგინონ და ასურეთის კიდევ ერთ ღირსშესანიშნაობად აქციონ, ვიზიტორებისთვის პატარა ჯიხური გახსნან, სტუმრებს საკვებით გაუმასპინძლდნენ და მათ სამახსოვრო სუვენირებიც შესთავაზონ.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

ჯორჯიაშვილი

სოფელი ჯორჯიაშვილი, რომელზეც ისტორიულად აბრეშუმის გზა გადიოდა, სტრატეგიულ სავაჭრო მნიშვნელობასა და საკვანძო მაგისტრალის ფუნქციას ახლაც ინარჩუნებს. ასურეთთან სიახლოვე კი მის ტურისტულ პოტენციალსაც ზრდის. ჯორჯიაშვილში სულ 1000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს.

ჯორჯიაშვილში მცხოვრები ნინო სარუხანოვი შვილებთან ერთად სოფლის ცენტრალურ გზაზე. ტროტუარებისა და სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების არარსებობის გამო, ეს ადგილობრივებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ადგილია.

დილით, როცა ტრაილერები მოძრაობას იწყებენ, ჯორჯიაშვილში, ცენტრალურ გზაზე გადაადგილება განსაკუთრებით სახიფათო ხდება. არადა, ეს პერიოდი სწორედ საბავშვო ბაღსა და სკოლაში წასვლის დროს ემთხვევა. ზოგადადაც, ხალხმრავალ, აქტიურ სოფელში, სადაც ყველა საკვანძო დაწესებულება გზის პირასაა, ადამიანებისთვის უსაფრთხო გადაადგილება ყოველთვის მნიშვნელოვანია.

ხიფათს უპირველესად ტროტუარების არარსებობა ქმნის, ამიტომ ადგილობრივები იძულებულები არიან, გზის პირას სიარულისას სიფრთხილე გამოიჩინონ და ბავშვებიც მარტო არსად გაუშვან. ჯორჯიაშვილში დიდი ხანია, ტროტუარების გამოყოფასა და სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების დამონტაჟებას უშედეგოდ ითხოვენ.

„ცენტრალურ გზაზე ბევრი ავტოსაგზაო შემთხვევა მომხდარა. ერთი ისეთი მკვეთრი მოსახვევია, არაფერი ჩანს და იქ გავლა კიდევ უფრო სახიფათოა. სულ გვეშინია, მით უმეტეს, რომ გზაზე გადასვლა სკოლაში მიმავალ ბავშვებს აუცილებლად უწევთ", – ამბობს ნინო სარუხანოვი, რომელიც სოციალურ მობილიზაციაშია ჩართული და, სხვა ადგილობრივ ქალებთან ერთად, საგზაო უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრაზე მუშაობს. ქალებმა სოფელში შიდა გზების მოხრეშვის საკითხი მოაგვარეს და ახლა სურთ, ამ კუთხითაც მეტად იაქტიურონ.

ჯორჯიაშვილის მაცხოვრებლები მოსაცდელში, რომელიც სოფლის მოსახლეობისთვის სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს. აქაურებისთვის ის შეკრების ერთ-ერთი მთავარი ადგილია.

* * *

მზეში, წვიმასა თუ ქარში ჯორჯიაშვილში ტრანსპორტს ადგილობრივები ღია სივრცეში, გზაზე ელოდნენ. მას შემდეგ, რაც ქალების აქტიურობით მოსაცდელი აშენდა, სოფლის მოსახლეობა აქ ცუდ ამინდსაც აფარებს თავს, ტრანსპორტსაც ელოდება და – სახელოვნებო თუ სპორტულ წრეებზე მყოფ შვილებსაც. თანაც, ეს ადგილი მათთვის შეკრების ერთ-ერთ მთავარ სივრცედაც იქცა.

ქალებს სურთ, იქვე, არსენ ჯორჯიაშვილის მუზეუმთან მდებარე პატარა ეზო გამწვანებულ სკვერად აქციონ და სკამებით მოაწყონ, სამომავლოდ კი თავად მუზეუმის აღდგენაზეც ფიქრობენ.

ბავშვები ჯორჯიაშვილში, ერთ-ერთ ქუჩაზე თამაშობენ. თუმცა, ყველა მანქანის გამოჩენაზე, ისინი თამაშს წყვეტენ და ელიან, ავტომობილი როდის გაივლის. სოფელში მათი გართობისთვის უსაფრთხო სივრცე არ არის.

* * *

ჯორჯიაშვილის ვიწრო ქუჩები საღამოობით ბავშვებით ივსება. ბურთი, სკეიტი, ველოსიპედი – გასართობი ბევრია, მაგრამ არ არის მთავარი: უსაფრთხოება და სივრცე, სადაც ისინი თავისუფლად ითამაშებდნენ. მშობლები ამ ამბავს ძალიან განიცდიან. ღელავენ თავად მძღოლებიც, რომლებსაც გადაადგილება ბავშვებით სავსე ქუჩებში უწევთ.

ამ დროს სოფლის განცალკევებულ, გზიდან მოშორებულ ნაწილში უზარმაზარი თავისუფალი სივრცეა: მინდორი, რომელიც ერთ დროს სტადიონის ფუნქციას მართლაც ასრულებდა, დღეს მცენარეებითაა დაფარული. პო-

ტენციალი კი მას ნამდვილად დიდი აქვს. სოციალურ მობილიზაციაში ჩართული ქალები ამბობენ, რომ აქ მთელი სოფლის ბავშვები დაეტევიან, ფეხბურთსაც ითამაშებენ და კალათბურთსაც, ადგილი ტრენაჟორებისთვისაც მოიძებნება და მცირეწლოვნების ატრაქციონებისთვისაც. გამწვანებისა და განათების დამონტაჟების შემთხვევაში კი, სოფელს ახალი სარეკრეაციო ზონა შეემატება. შესაბამისი მოთხოვნით ქალებმა ჯორჯიაშვილში ხელმოწერები უკვე შეაგროვეს, თვითმმართველობის სახელზე განცხადებაც დაწერეს და ახლა პასუხის მოლოდინში არიან.

„სოციალურმა მობილიზაციამ იმედი გაგვიჩინა, რომ სოფელში ჩვენი ინიციატივით რაღაც შეიძლებოდა გაკეთებულიყო. თანაც, ქალები ერთმანეთს შეგვახვედრა, გაგვაერთიანა, გაგვაძლიერა. მეც შევიცვალე: ადრე რომ ვიხვეწებოდი, უკვე ვიცი, რომ შემიძლია, მოვითხოვო. სოფლის კრებებს საერთოდ არ ვესწრებოდით და ახლა დავდივართ. აღნიშნეს კიდეც, ჯორჯიაშვილში როგორი ყოჩაღი ქალები ყოფილანო“, – ამბობს ნონა ებრალიძე, რომელიც სოციალურ მობილიზაციაშია ჩართული.

ყოფილი სტადიონი ჯორჯიაშვილში. სოციალურ მობილიზაციაში ჩართული ქალები მის აღდგენასა და ახალი ფუნქციებით დატვირთვაზე მუშაობენ.

„სოციალურმა მობილიზაციამ იმედი გაგვიჩინა, რომ სოფელში ჩვენი ინიციატივით რაღაც შეიძლებოდა გაკეთებულიყო. თანაც, ქალები ერთმანეთს შეგვახვედრა, გაგვაერთიანა, გაგვაძლიერა“.

სკოლის მიმდებარე ტერიტორია სოფელ ჭივჭავში. სკოლაში 46 ბავშვი სწავლობს. წვიმასა და ტალახში გაკვეთილებზე მისვლა მათთვის განსაკუთრებით რთულია.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

ჭივჭავი

1980-იანი წლების ბოლოს სვანეთში მომხდარი სტიქიით დაზარალებულებისთვის სახლები თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ჭივჭავში ააშენეს. ახლა აქ, ძირითადად, ეკომიგრანტები ცხოვრობენ. სოფელი პატარაა – 450-მდე ადამიანით. რთული საარსებო პირობების გამო, უმეტესობამ ჭივჭავი დიდი ხანია, დატოვა.

ჭივჭავში ბავშვებს განსხვავებული ოცნებები აქვთ – ბევრი მათი თანატოლისთვის უჩვეულო და სევდიანიც: სკოლამდე ისე მივიდნენ, ფეხსაცმელი და ტანსაცმელი არ დაისვარონ.

ჭივჭავში გზა პრაქტიკულად არ არის, წვიმის შემდეგ კი ის ისე ტალახდება, რომ გავლა შეუძლებელი ხდება. სანიაღვრეების არარსებობის გამო, ასეთ დროს წყლით ავსებული სარდაფების გასუფთავება მოსახლეობას ხელით უწევს.

სოფელში საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ დადის. ცენტრალურ გზამდე დაახლოებით 3 კილომეტრია და, დედაქალაქში ან თეთრიწყაროში წასასვლელად, ამ მანძილს ადგილობრივები ფეხით გადიან.

ჭივჭავში სასმელი წყალი შეფერხებით, თანაც, გზაზე დამონტაჟებულ ონკანებში მოდის. ადგილობრივები, მათ შორის ბავშვებიც, მას სახლებში ხელით ეზიდებიან, ზოგჯერ კი ქალები სარეცხს პირდაპირ ქუჩაში რეცხავენ. სამწუხაროდ, წყლის ხარისხი შემოწმებული არ არის, ის არც იფილტრება, ამიტომ ვისაც შესაძლებლობა აქვს, სასმელ წყალს უმეტესად ყიდულობს.

საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორია ჭივჭავში.

გზა, რომლის გავლაც ჭივჭავის მოსახლეობას ყოველდღიურად უწევს.

ჭივჭაველი გოგო ქუჩიდან წყალს სახლში ეზიდება. სოფელში წყალი გზებზე დამონტაჟებულ ონკანებში მოდის.

სოფელში არც ბუნებრივი აირია, ამიტომ ზამთარ-ზაფხულ შეშის ღუმელების გამოყენება ჭივჭავში მოსახლეობის ყოველ-დღიურობის ნაწილია.

როცა სოციალური მობილიზაციის მონაწილე ქალები სოფლის საჭიროებებს სწავლობდნენ, წინასწარ იცოდნენ, რომ ყველას პრობლემა წყალი და გზა იქნებოდა. ეს საკითხები მრგვალი მაგიდის შეხვედრაზეც გაიტანეს, თუმცა მათ მოგვარებაზე მუშაობის დაწყებას დიდი დრო დასჭირდა. ახლა ჭივჭავში წყლის მილების დამონტაჟება თითქმის დასრულებულია, რაც ქალების ადვოკატირების დამსახურებაცაა. მომდევნო ეტაპი სანიაღვრე არხების მოწესრიგება, ბუნებრივი აირის გაყვანა და გზის დაგება იქნება.

ეკომიგრანტების ოჯახის სახლი ჭივჭავში. სოფელში ბუნებრივი აირი არ არის, ამიტომ მოსახლეობას შეშის ღუმელების გამოყენება უწევს.

სამცხე-ჯავახეთი

ახალციხის მუნიციპალიტეტი

სვირი

სვირი მაღალმთიანი სოფელია – მკაცრი კლიმატითა და რთული საცხოვრებელი თუ ინფრასტრუქტურული პირობებით. ეს კი ადგილობრივი მოსახლეობისთვის დამატებით საჭიროებებს ქმნის. სვირში სულ 140 ოჯახია. აქაურები, ძირითადად, მიწათმოქმედებას, სოფლის მეურნეობას, მესაქონლეობას მისდევენ და შემოსავალსაც უმეტესად ამ საქმიანობებიდან იღებენ.

40 წლის თამარ შუბითიძეს სარეცხის მანქანა საძინებელში, საწოლის გვერდით უდგას. ნივთისთვის უჩვეულო ადგილი საკუთარი სურვილით არ შეურჩევია. თავის დროზე ხანგრძლივმა უწყლობამ აიძულა, სარეცხის მანქანა ისე განეთავსებინა, რომ წვიმით შეგროვებული წყლითა და ფანჯრიდან შემოყვანილი მილით მარტივად აევსო. განსაკუთრებით ზამთრობით უჭირდა: სათავეზე წყალი იყინებოდა, თვეობით აღარ მოდიოდა, ამიტომ იძულებული იყო, სხვა სვირელ ქალებთან ერთად, წყალი კილომეტრამდე სიშორიდან ხელით მოეზიდა.

თამარ შუბითიძე სვირიდან საძინებელში დამონტაჟებულ სარეცხის მანქანასთან. უწყლობის გამო, წლების განმავლობაში თამარი სარეცხის მანქანისთვის წვიმის წყალს იყენებდა, რომელიც ფანჯრიდან სპეციალური მილით ჰქონდა შემოყვანილი.

უწყლობა და ანტისანიტარია, განსაკუთრებით პანდემიის დროს, ყველაზე მეტად ქალების ყოველდღიურობასა და ჯანმრთელობას აზიანებდა, საშინაო შრომას კი კიდევ უფრო ართულებდა, ამიტომ, საბოლოოდ, ისევ მათ იაქტიურეს და ადგილობრივ მთავრობასთან თანამშრომლობით, პრობლემა დიდწილად მოაგვარეს. გაყვანილობის სრულყოფა ახლაც გრძელდება, ქალები ელოდებიან, რომ ძალიან მალე უწყლობა სამუდამოდ წარსულს ჩაბარდება, საძინებლებში დამონტაჟებული სარეცხის მანქანები კი მოგონებად დარჩება.

„თავიდან გაოცებულები ვიყავით. როცა გავიგეთ, მუნიციპალიტეტთან ითანამშრომლებთ და სასარგებლო საქმეებს გააკეთებთო, გვეგონა, არავინ მოგვისმენდა, მაგრამ მალევე მივხვდით, რომ ეს ყველაფერი რეალური იყო“, – ამბობს თამარ შუბითიძე, რომელიც „ფონდი ტასოს“ სათემო მუშაკიცაა და, ამავდროულად, სვირის ახალგაზრდულ ცენტრსა და ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს.

ნინო სუდაძე შვილებთან ერთად იმ საბავშვო ბაღის ეზოში, სადაც ის დარაჯად მუშაობს. ნინოს პატარებიც აქ დაჰყავს. ბაღის გახსნა სვირში ადგილობრივი ქალების ინიციატივით დაჩქარდა.

* * *

31 წლის ნინო სუდაძე 2 პატარა ბავშვით დიდი ხნის განმავლობაში საზოგადოებრივ ტრანსპორტს წვიმასა თუ თოვლში ისე ელოდა, რომ უამინდობაში თავს ვერაფერს აფარებდა. ნინოს შვილების წაყვანა ექიმთან ან მასწავლებელთან ხშირად ახალციხეში უწევდა, სამარშრუტო ტაქსი კი სოფლიდან ქალაქამდე დღეში მხოლოდ ერთხელ, დილაობით, 9 საათზე მიდიოდა. ნინო, როგორც სხვა ადგილობრივები, უმეტესად გამვლელი ტრანსპორტით სარგებლობდა, ამიტომ მოცდა ზოგჯერ საათობითაც უწევდა. „ქალები ბავშვებით ვიდექით ხოლმე, ზედ გვაწვიმდა და გვათოვდა, განსაკუთრებით სიცივეში გვიჭირდა“, – იხსენებს ნინო.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელი სვირში, რომელიც ქალების აქტიურობით მოეწყო და ადგილობრივებისთვის თავშეყრის ერთ-ერთი საყვარელი ადგილია.

ბავშვის წაყვანა მეტყველების მასწავლებელთან ნინოს ახლაც უწევს, თუმცა ტრანსპორტს ღია ცის ქვეშ უკვე აღარ ელოდება. ქალების აქტიურობით, სოფელში მოსაცდელი მოეწყო და ის ახლა მოსახლეობისთვის თავშეყრის საყვარელი ადგილიცაა. აქვეა მაგიდა და სკამები, კედელი მნიშვნელოვანი განცხადებებისთვის და საზოგადოებრივი საპირფარეშო, რომელიც ასევე ქალების ინიციატივით გაკეთდა.

ნინოს ხელს ისიც უწყობს, რომ უმცროს შვილს საბავშვო ბაღში ტოვებს, იმედიანადაა და აღარც იმაზე ღელავს, პატარას ყურადღებას ვინ მიაქცევს. სოციალურმა მობილიზაციამ და სვირელი ქალების აქტიურობამ სოფელში საბავშვო ბაღის გახსნა დააჩქარა, ნინოს ზრუნვის შრომაც შეუმსუბუქა და შემოსავლის მომტანი სამსახურიც აპოვნინა. ის სწორედ ამ ბაღში, დარაჯად მუშაობს და ამბობს, რომ ბაღის ამოქმედებისა და დროის გამოთავისუფლების შემდეგ ბევრი ადგილობრივი ქალი დასაქმდა.

თამარ ხარაიშვილი შვილთან, თეონა კაპანაძესთან ერთად. სოფელში ეს გზა სოციალური მობილიზაციის დაწყებამდე საერთოდ არ არსებობდა. ახლა კი, მისი დახმარებით, სვირის სკოლაში ბავშვები მეზობელი ბოგადანაც ტრანსპორტით მოდიან.

* * *

37 წლის თამარ ხარაიშვილი ზემო სვირში ცხოვრობს – ცენტრალური გზიდან საკმაოდ შორს. არც თუ დიდი ხნის წინ, როცა სოფელში შიდა გზები პრაქტიკულად არ არსებობდა, თამარს სკოლაში მიმავალი შვილები, განსაკუთრებით ცუდ ამინდში, ცენტრალურ გზამდე ზურგზე მოკიდებულები ჩაჰყავდა. ახლა მისი შვილები სკოლაში უკვე აღარ სწავლობენ და უგზოობაც წარსულს ჩაბარდა: ქალებმა ბევრი იშრომეს და, თვითმმართველობასთან ერთად, სოფლის ბოლომდე ბეტონის ახალი გზა გააკეთეს. ბავშვები სკოლაში არა მარტო სვირიდან, მეზობელი ბოგადანაც ტრანსპორტს დაჰყავს და მათ აღარც ორი, გამოსაცვლელი ფეხსაცმლის ტარება სჭირდებათ.

„ბავშვებმა ხომ დაისვენეს და ჩვენც ტვირთის მიტანა ბევრად გვიმარტივდება. უგზოობის გამო, კერძო ტაქსებიც კი, ზემო სვირში წასვლაზე უარს ამბობდნენ ან მაღალ საფასურს ითხოვდნენ, ამიტომ ხშირად სიმძიმეებს ხელით ვეზიდებოდით. ახლა ეს პრობლემაც აღარ გვაქვს“, – ამბობს თამარი.

„თავიდან გვეუბნებოდნენ, რას დადიხართ, მეტი საქმე არ გაქვთ, მაინც არავინ არაფერს გაგვიკეთებსო. მერე დამოკიდებულება შეიცვალა. ჩვენც შევიცვალეთ, თავდაჯერებულობაც გაგვეზარდა და – პასუხისმგებლობაც“.

გზის გაყვანას განათება მოჰყვა. მაღალმთიან სოფელში, სადაც გარეული ნადირიც ახლოს ბინადრობს და მოსახლეობას საღამოობით საქონლის დახვედრა ან დაკარგული ძროხის მოძებნა უწევს, განათება ძალიან მნიშვნელოვანია.

„თავიდან გვეუბნებოდნენ, რას დადიხართ, მეტი საქმე არ გაქვთ, მაინც არავინ არაფერს გაგვიკეთებსო. მერე დამოკიდებულება შეიცვალა. ჩვენც შევიცვალეთ, თავდაჯერებულობაც გაგვეზარდა და – პასუხისმგებლობაც, სახლებიდან გამოვედით, ერთმანეთი გავიცანით, დავახლოვდით, განვვითარდით“, – ამბობს თამარ ხარაიშვილი.

ქალები ახლა რიტუალების სახლის რეაბილიტაციასა და პატარა სპორტული მოედნის გახსნაზე მუშაობენ. აპირებენ, მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის საკითხიც წარადგინონ და ადგილობრივ მთავრობას მისი გაუმჯობესება სთხოვონ.

ქალების ინიციატივით დამონტაჟებული განათება სვირში. ლამპიონებმა სოფელში გადაადგილება უსაფრთხო გახადა და აქაურების ცხოვრებაც გამოაცოცხლა.

ასპინძის მუნიციპალიტეტი

ტოლოში

ტოლოში ასპინძიდან 15 კილომეტრით დაშორებული სოფელია. აქ დაახლოებით 360-მდე ადამიანი ცხოვრობს, ოჯახების დიდი ნაწილი კი მესაქონლეობასა და მერძევეობას მისდევს. რთული რელიეფური პირობებისა და კლიმატის გამო, მიწათმოქმედება ტოლოშში ნაკლებადაა განვითარებული, სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ადგილობრივები მხოლოდ მცირე რაოდენობით, საკუთარი გამოყენებისთვის აწარმოებენ.

ტოლოშში ახალგაზრდებისთვის არც კინოა, არც – სათამაშო მოედანი, ამიტომ მათი ერთ-ერთი საყვარელი გართობა ველოსიპედები და გორგოლაჭებია. თუმცა, 44 წლის ოლია გრძელიშვილს ველოსიპედის დანახვაზე სულ ის ახსენდება, მისი შვილი, ანია ხევში რომ გადავარდა და დაშავებული ძლივს ამოიყვანა. ქვიან ბილიკზე, რომელიც ტოლოშში გზის ფუნქციას წლების განმავლობაში ასრულებდა, ანიას ბორბალმა უმტყუნა. მაშინ ის 11 წლის იყო, თუმცა დღემდე ისე ეშინია, ველოსიპედზე აღარ ჯდება.

ტოლოშელი ბავშვები ველოსიპედებითა და გორგოლაჭებით ერთობიან. წლების წინ ამ ადგილას მხოლოდ ქვები იყო, სოფელში გზა ქალების აქტიურობის შემდეგ გაიყვანეს.

„ადრე დაღამების შემდეგ გარეთ ვერ გამოვდიოდით. მახსოვს, ლამპიონები რომ აინთო, დავსეირნობდით და ჩვენი გაკეთებული საქმით ვამაყობდით“.

ტოლოშელი ქალები შვილებთან ერთად. განათების დამონტაჟების შემდეგ მათ ერთმანეთთან სტუმრობა შებინდების დროსაც შეუძლიათ, ბავშვები კი გვიან საღამომდე ერთობიან.

ამ ამბის მერე ადგილობრივები განსაკუთრებით ფრთხილობდნენ და ბავშვებს ქუჩაში უმეთვალყურეოდ სათამაშოდაც არ უშვებდნენ. უგზოობის გამო, სოფელში არც ტრანსპორტი მოდიოდა, ამიტომ ტოლოშელებს მძიმე ტვირთის სახლებამდე მიტანა ხელით უწევდათ.

ახლა აქაური ბავშვები ველოსიპედებითა და გორგოლაჭებით თამამად ერთობიან. სოციალურ მობილიზაციაში გაწევრიანებულმა ქალებმა გზის პრობლემა თვითმმართველობას მიაწვდინეს, მერე პროცესიც დააჩქარეს და ტოლოშში გზა და განათება გაიყვანეს.

„ჩიხებიც კი უსაფრთხოა. ადრე დაღამების შემდეგ გარეთ ვერ გამოვდიოდით. მახსოვს, ლამპიონები რომ აინთო, დავსეირნობდით და ჩვენი გაკეთებული საქმით ვამაყობდით. ზაფხულობითაც, ბავშვებთან ერთად, სულ გარეთ ვართ“, – ამბობს ოლია, რომელიც თვითდახმარების ჯგუფის ერთ-ერთი წევრია.



ტოლოშელი მანანა ბერიძე-ტაბატაძე. ურნების არარსებობის გამო, სოფელში წლების განმავლობაში ნაგავი გზაზე იყრებოდა და ანტისანიტარიით ბევრს საქონელი უკვდებოდა. მათ შორის იყო მანანაც. ახლა ტოლოშში ურნები ყველა ქუჩაზე დგას.

* * *

მანანა ბერიძე-ტაბატაძე 58 წლისაა. მისი ოჯახიც, როგორც ტოლოშელების დიდი ნაწილი, მესაქონლეობას ეწევა და თითოეულ პირუტყვს ძალიან უფრთხილდება. უგზოობის გამო, სოფელში ურნები საერთოდ არ იყო, დაყრილ ნაგავს – ცელოფნებსა თუ პლასტმასის ბოთლებს საქონელი ჭამდა და ისე ავადდებოდა, რომ ხშირად მათი გადარჩენა შეუძლებელი ხდებოდა. მაშინ ერთადერთი ძროხა მანანასაც ამ მიზეზით მოუკვდა.

გზის გაყვანის შემდეგ სოფელში ურნებიც დაიდგა და ნაგვის მანქანაც რეგულარულად დადის. ურნებთან ერთად, სანიაღვრე არხებიც მოწესრიგდა და ახლა უკვე ტოლოშელებს აღარც წვიმის მოსვლის ეშინიათ და აღარც – სახლებისა და ეზოების დატბორვის.

სანიაღვრე არხი ტოლოშში. ქალების ინიციატივით, სოფელში სანიაღვრე არხები მოეწყო და ადგილობრივებს სახლები და ეზოები ძლიერი წვიმის დროსაც კი აღარ ეტბორებათ.

ოლია გრძელიშვილი რეცხავს ბოსტნეულს. წლების წინ მას სადილის მოსამზადებლად წყლის მოტანა შორიდან უხდებოდა. ქალების აქტიურობით, სოფელში გაყვანილობა სრულად შეიცვალა და წყალი უკვე ყველა ტოლოშელის სახლში მოდის.

* * *

დიდი ხნის განმავლობაში ტოლოშში წყალი მხოლოდ ქუჩაში, ერთ ონკანში მოდიოდა, ამიტომ ადგილობრივი ქალები ყინვასა თუ პაპანაქებაში წყალს შორიდან ეზიდებოდნენ, მერე ამ გაჭირვებით მოტანილი წყლით ჭურჭელს ან სარეცხს რეცხავდნენ, სადილს ამზადებდნენ, სახლს ალაგებდნენ, ბავშვებს უვლიდნენ. ზამთრობით კი ეს ერთადერთი ონკანიც იყინებოდა და ქალები მარტო წვიმის იმედად რჩებოდნენ.

ტოლოშელი ქალების აქტიურობის შემდეგ სოფელში წყლის გაყვანილობა სრულად შეიცვალა, ახალი ავზები მოეწყო და წყალიც დღის განმავლობაში სულ მოდის. ქალებმა ამოისუნთქეს, ონკანები ეზოებში დაიმონტაჟეს, სარეცხის მანქანები აამუშავეს და საშინაო შრომა შეიმსუბუქეს.

* * *

49 წლის თამილა კაპანაძემ ორი შვილი ჩვილობიდან ბაღის ასაკამდე ისე მიიყვანა, დამტოვებელი არ ჰყოლია. მუშაობა უნდოდა, მაგრამ, პატარებზე ზრუნვის გამო, სამსახურს არც ეძებდა. სოფელში საბავშვო ბაღის მშენებლობა დაწყებული იყო, მაგრამ ძალიან ჭიანურდებოდა. სოციალური მობილიზა-

„გზა რომ გავიყვანეთ, მეზობელი სოფლის ქალებმაც აქ წამოიყვანეს ბავშვები. ტრანსპორტი დადის და უმარტივდებათ, ზოგმა მუშაობა დაიწყო, ზოგმა ბოსტანი გააშენა, შვილები ბაღში რომ ჰყავთ, მშვიდად არიან, სახლის საქმეებსაც უკეთ აუდიან“.

ციის დაწყების შემდეგ თამილამ, სხვა ადგილობრივ ქალებთან ერთად, ისე იაქტიურა, რომ დღეს ტოლოშის ბაღში 8 სოფლიდან 70-მდე ბავშვი დადის. თავად თამილაც აქვე, მასწავლებლად მუშაობს და შვილებსაც, რომლებიც უკვე სკოლაში დადიან, ყურადღებას არ აკლებს.

„გზა რომ გავიყვანეთ, მეზობელი სოფლის ქალებმაც აქ წამოიყვანეს ბავშვები. ტრანსპორტი დადის და უმარტივდებათ, ზოგმა მუშაობა დაიწყო, ზოგმა ბოსტანი გააშენა, შვილები ბაღში რომ ჰყავთ, მშვიდად არიან, სახლის საქმეებსაც უკეთ აუდიან“, – ამბობს თამილა.

ტოლოშელი ქალების საზრუნავი ახლა ტრანსპორტის მოსაცდელისა და პატარა სტადიონის მოწყობაა, ბავშვები სპორტით უფრო აქტიურად რომ დაკავდნენ. სკვერისა და კლუბის გახსნაც სურთ – ადგილის, სადაც შეიკრიბებიან და კულტურულ ღონისძიებებს დაესწრებიან.

ტოლოშის საბავშვო ბაღის მასწავლებელი თამილა კაპანაძე. სოფელში საბავშვო ბაღის გაჭიანურებული მშენებლობა ქალების ჩართულობის შემდეგ დასრულდა. მისმა გახსნამ არა მარტო თამილას, არამედ მეზობელ სოფლებში მცხოვრები ქალების ცხოვრებაც შეცვალა.



ასპინძის მუნიციპალიტეტი

ხერთვისი

ხერთვისის სკოლის შენობა.

ხერთვისი ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელია, გამორჩეული, საინტერესო ისტორიითა და მემკვიდრეობით. სწორედ აქ მდებარეობს ერთ-ერთი კულტურული ღირსშესანიშნაობა – ხერთვისის ციხე, რომელიც სოფელს დამატებით ტურისტულ ფასეულობას სძენს. ხერთვისში დაახლოებით 125 ადამიანი ცხოვრობს. რთული საცხოვრებელი პირობების გამო, მიგრაციის ტალღა მაღალია. ბევრი ოჯახი სხვა ქვეყნებშია წასული, მათი სახლები კი – დაკეტილი. დარჩენილი მოსახლეობა, ძირითადად, მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას მისდევს.

ხერთვისის სკოლისთვის ერთი თვალის შევლებაც კმარა, რომ მიხვდეთ, როგორი გამორჩეული შენობაა ის. ნაგებობის იერი სოფლის ცნობილ ციხეს იმეორებს და მნახველებშიც განსაკუთრებულ ემოციას იწვევს. სკოლას სოფელთან ერთადერთი საფეხმავლო ხიდი აკავშირებს, რომელსაც ბავშვები დღის განმავლობაში არაერთხელ გადადიან.

ახლა ხიდი სრულიად უსაფრთხოა, თუმცა იყო დრო, როცა დედებს ყოველ დილასა თუ შუადღეს უმცროსკლასელი შვილების სკოლამდე მიყვანა ალაგ-ალაგ ფიცრებჩატეხილი, დაზიანებული ხიდით, შეშინებულებს უწევდათ.

სკოლას სულ 23 მოსწავლე ჰყავს, მათ შორის მეორეკლასელი სანდრო, რომელსაც დედა, მზია სურმანიძე ყოველ

ხერთვისელი ბავშვები მიდიან სკოლაში. ხიდი, რომელზე გავლაც სახიფათო იყო, სრულად გარემონტდა და გაახლდა.

დილას უკვე მშვიდად, მხოლოდ ხიდამდე აცილებს. ხიდს სანდრო დამოუკიდებლად გადადის, გაკვეთილების დასრულების შემდეგ კი შინ ისევ დედასთან ერთად ბრუნდება. როცა სოფელში სოციალური მობილიზაცია დაიწყო, 36 წლის მზიამ, ხერთვისელ ქალებთან ერთად, უპირველესად სკოლასთან დამაკავშირებელი ხიდის გამაგრებაზე იზრუნა და მიზანსაც მიაღწია.

* * *

ხერთვისელი კაცები სეზონურად ხშირად სათიბად მთაში ადიან, მარტოდ დარჩენილი ქალები კი ოჯახებსაც უძღვებიან და საქონელსაც უვლიან. საღამოობით დაგვიანებული ან დაკარგული პირუტყვის ძებნაც მათ უწევთ ხოლმე, ამიტომ განათებამ, რომელიც ორღობეებში ქალების ინიციატივით დამონტაჟდა, გადაადგილება ბევრად უსაფრთხო გახადა.

„როგორც კი დაღამდებოდა, სახლებში ვიკეტებოდით, ახლა ეს ლამპიონები ეზოებსაც გვინათებს, სოფელი გაცოცხლდა, სულ ბავშვების ჟრიამული ისმის“, – ამბობს მზია სურმანიძე.



დავალებების მომზადების შემდეგ მეორეკლასელი სანდრო გზაზე ველოსიპედით ერთობა. განათების დამონტაჟებამ ადგილობრივებისთვის გადაადგილება გაცილებით უსაფრთხო გახადა.

„ამას ადრე ვერ წარმოვიდგენდი, უკვე ყველა გვცნობს, სხვა ავტორიტეტი გვაქვს, ხალხიც ჩვენთან მოდის, რაღაც რომ აინტერესებს. რაც მთავარია, მუშაობას ვაგრძელებთ“.

ქალების აქტიურობა ამით არ დასრულებულა: სოფლის სასაფლაო შემოიღობა და ეს ტერიტორიაც უფრო დაცული გახდა, შეიცვალა და გაახლდა მისი ჭიშკარიც. სოციალურ მობილიზაციაში ჩართული ხერთვისელი ქალები უკვე სოფლის კრებებზეც აქტიურად დადიან. „ამას ადრე ვერ წარმოვიდგენდი, უკვე ყველა გვცნობს, სხვა ავტორიტეტი გვაქვს, ხალხიც ჩვენთან მოდის, რაღაც რომ აინტერესებს. რაც მთავარია, მუშაობას ვაგრძელებთ და გვინდა, რომ სოფელში ამბულატორია და ბიბლიოთეკაც გაიხსნას“, – ამბობს მზია, რომელიც სოციალურ მობილიზაციაში პირველივე დღიდანაა ჩართული და სხვა ქალების მსგავსად, აქტიურობას არ წყვეტს.

ხერთვისის სასაფლაო, რომელიც ქალების ინიციატივით შემოიღობა და გაახლდა.

კახეთი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

ჭიაური

სოფელი ჭიაური ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. აქ, ძირითადად, იმერული წარმოშობის მოსახლეობა, დაახლოებით 350 ოჯახი ცხოვრობს. ადგილობრივების დიდი ნაწილი მიწათმოქმედებას მისდევს, ჭიაურში კარგად განვითარებულია სასათბურე მეურნეობაც. აქაური მოსავლით – ბოსტნეულითა და ბაღჩეული კულტურებით – რეგიონისა და დედაქალაქის ბაზრები მარაგდება, ამიტომ მოწესრიგებულ გზასა და სარწყავ წყალს მოსახლეობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

50 წლის თეა დარბაიძე ჭიაურში ოჯახთან ერთად ცხოვრობს და ადგილობრივ სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. მის სახლთან ახლოს კერძო საწარმოა, ამიტომ სატვირთო ტრანსპორტი ქუჩაზე ხშირად დადის, თუმცა თეას ტრაილერების მოძრაობა ძველებურად უკვე აღარ აწუხებს.

თეა დარბაიძე სახლის აივანზე. სოციალური მობილიზაციის დაწყებამდე ამ ქუჩაზე გზა პრაქტიკულად არ იყო, ამიტომ აქ არათუ გავლა, ცხოვრებაც ჭირდა.

„ახლა რა გვიჭირს, სანამ ასფალტს დააგებდნენ, ხან მტვერი გვჭამდა, ხან – ტალახი. ფანჯარას ვერ ვხსნიდით, სარეცხს ვერ ვფენდით, დალაგებასაც აზრი არ ჰქონდა. საზოგადოებრივ ტრანსპორტს თუ ვერ მივუსწრებდით, ტაქსისთვის აქ წამოსასვლელად ორმაგი უნდა გადაგვეხადა“, – იხსენებს თეა.

სოციალური მობილიზაციის დაწყების შემდეგ, თეასა და სხვა ადგილობრივი ქალების აქტიურობით, ჭიაურში ასფალტი დააგეს, საგზაო ნიშნები და სიჩქარის მარეგულირებლები მოაწესრიგეს. ახალმა გზამ ადგილობრივების ყოველდღიურობა შეცვალა და თან მოსავლის გაყიდვა და შემოსავლის მიღებაც გაამარტივა. ადრე თუ სოფლის მოსახლეობას დისტრიბუტორებთან პროდუქტის ჩატანა მთავარ გზაზე თავად უწევდა, ახლა მას უკვე გაცილებით იოლად, პირდაპირ სახლებიდან ყიდის.

გზის გაყვანის შემდეგ ქალებმა წყლის პრობლემის მოგვარებასა და ჭაბურღილების დამატებაზეც იზრუნეს. „ძველი, დაჟანგებული მილები იყო, ხან სად ამოხეთქავდა ხოლმე და ხან – სად. დასალევად ბურღის ან ჭის წყალს

ვიყენებდით, რაც ჯანმრთელობისთვის კარგი არ არის, ახლა კი სასმელი წყალიც მუდმივად მოდის, ეს სოფლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია“, – ამბობს თეა.

ქალები ცდილობენ, სოფელში საბავშვო ბაღის მშენებლობაც დააჩქარონ. ორი წლის წინ ბაღის ავარიული შენობა დაანგრიეს, თუმცა ახლის შენება გაჭიანურებულია, ამიტომ ადგილობრივებს პატარები მეზობელ სოფელში, თამარიანში დაჰყავთ. მართალია, ტრანსპორტი ემსახურებათ, მაგრამ ერთ სამარშრუტოში ადგილი ყველასთვის საკმარისი არასდროსაა. ბაღი უახლოეს მომავალში დასრულდება, ქალების მომდევნო გეგმა კი ჭიაურში მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის გაყვანა და კულტურის სახლის გახსნაა.

თეა დარბაიძე საკუთარი სახლის ეზოში რწყავს ყვავილებს. წყლის პრობლემა ჭიაურში ადგილობრივი ქალების აქტიურობის შემდეგ მოგვარდა.

ზურაბ გელაშვილი შვილიშვილთან ერთად ეზოში სეირნობს. სანიაღვრე ქსელის მოწესრიგებამდე შრომაში კავკასიონის ქუჩის მოსახლეობის ეზოები ხშირად იტბორებოდა და ტალახით ივსებოდა.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

შრომა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლების მსგავსად, შრომაც სიმწვანით გამორჩეული და უხვმოსავლიანია. აქაც იმერული წარმოშობის დაახლოებით 430 ოჯახი ცხოვრობს, ძირითადად, სოფლის მეურნეობას მისდევს და მოყვანილ მოსავალს ადგილობრივ ბაზრებში ან დისტრიბუტორებთან ყიდის. თუმცა, სოფელში, უხვი ნალექის გამო, წყალმოვარდნებიც ხშირია, რაც მოწესრიგებული ინფრასტრუქტურის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის.

63 წლის ზურაბ გელაშვილის სახლის ეზო შრომაში, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია. ულამაზესი, სხვადასხვა ჯიშის მცენარეები და ყვავილები მცირე ბოტანიკური ბაღის შთაბეჭდილებას ტოვებს. გამწვანებაზე ზურაბის ფლორისტმა სიძემ, შოთამ იზრუნა, თუმცა ამ სურვილის ასრულება მან მხოლოდ რამდენიმე წლის წინ, სანიაღვრე ქსელის მოწესრიგების შემდეგ შეძლო. მანამდე, უხვი ნალექის დროს, მთელი ქუჩა იტბორებოდა და არა მარტო ზურაბის, მეზობლების სახლებიც მთიდან ჩამოტანილი ნაგვითა და ნაშალი მიწით ივსებოდა.

როცა შრომაში სოციალური მობილიზაცია დაიწყო, ადგილობრივმა ქალებმა თვითმმართველობას უპირველესად სწორედ ეს პრობლემა წარუდგინეს. ამ თანამშრომლობის შემდეგ სოფელში სანიაღვრეები გაიყვანეს, მოწესრიგდა გარე განათება და მოეწყო სკვერი, რომელიც აქაური ბავშვების ერთადერთი გასართობია.

* * *

იმ დროს, როცა შრომელი ქალები ადგილობრივ საჭიროებებს იკვლევდნენ, სოფელში



სანიაღვრე სოფელ შრომაში. ქსელის მოწესრიგებაში აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალურ მობილიზაციაში ჩართული, ადგილობრივი ქალები.

წყალი ზოგჯერ 2-3 თვის განმავლობაში არ მოდიოდა. მათი აქტიურობის შემდეგ კი მილები შეიცვალა, გაახლდა. წყალი უკვე მოდის, თუმცა კვლავაც პრობლემად რჩება მისი ხარისხი, განსაკუთრებით კი წვიმის დროს, როცა ის გაფილტვრას ვერ ასწრებს.



საბავშვო სკვერი, რომელიც შრომაში პატარების ერთადერთი გასართობი სივრცეა. სკვერი ადგილობრივი ქალების ჩართულობით გაკეთდა.

„აქ არც თეატრია და არც – კინო, ამიტომ ჩვენთვის შეკრებები დიდი განტვირთვაა. თავიდან მოცლილებს გვეძახდნენ. არადა, რომ არ გვეაქტიურა, სხვა ქალებს ეს მოტივაცია არ გადაედებოდათ. ვერავის წარმოედგინა, რომ ვინმე რამეს გაუკეთებდა, უნდობლობა ჰქონდათ, მაგრამ ჩვენი შედეგებით სხვებიც დავაჯერეთ“.

„აქ არც თეატრია და არც – კინო, ამიტომ ჩვენთვის შეკრებები დიდი განტვირთვაა. თავიდან მოცლილებს გვეძახდნენ. არადა, რომ არ გვეაქტიურა, სხვა ქალებს ეს მოტივაცია არ გადაედებოდათ. ვერავის წარმოედგინა, რომ ვინმე რამეს გაუკეთებდა, უნდობლობა ჰქონდათ, მაგრამ ჩვენი შედეგებით სხვებიც დავაჯერეთ“, – ამბობს 54 წლის მანანა კურტანიძე, რომელიც შრომის თვითდახმარების ჯგუფის ერთ-ერთი წევრია.

* * *

საქართველოს სოფლებში ხშირად შეხვდებით სტიქიურ ნაგავსაყრელებს, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას შინ შეგროვებული ნარჩენები მიაქვს. ასეთი ადგილები არა მარტო გარემოსა და ეკოლოგიურ პირობებს აზიანებს, მაცხოვრებლების ჯანმრთელობასაც პრობლემას უქმნის.

წლების განმავლობაში სტიქიური ნაგავსაყრელი შრომაშიც იყო, ამიტომ ქალებმა მის გაუქმებასა და ურნების დამატებაზეც იზრუნეს. მერე, ცნობიერების ასამაღლებლად, სოფელში დასუფთავების აქციები მოაწყვეს და შეხვედრების ოთახის ეზოში, სადაც იკრიბებიან ხოლმე, საკომპოსტო ყუთი დადგეს. ამ ყუთში ქალები ნედლ ნარჩენს ყრიან და ორგანულ სასუქს ამზადებენ.

საკომპოსტო ყუთი, რომელშიც შრომელი ქალები ნედლი ნარჩენებისგან ორგანულ სასუქს ამზადებენ.

„ჩვენს ოფისში სკოლის მოსწავლეებიც მოდიან ხოლმე და ვიცით, რამდენად მნიშვნელოვანია, მომავალი თაობებისთვის მაგალითები ვიყოთ“, – აღნიშნავს თვითდახმარების ჯგუფის ხელმძღვანელი ანა ხატიაშვილი.

ქალებს სურთ, შრომაში სპორტული კომპლექსი მოეწყოს – ტრენაჟორებითა და მცირე სტადიონით, გასართობი კუთხითა და მაგიდა-სკამებით, ამიტომ მათი სამომავლო ნაბიჯებიც ამ გეგმას უკავშირდება.

ადგილი, სადაც შრომაში სტიქიური ნაგავსაყრელი იყო. აქ აღმართული აბრა ახლა უკვე მოსახლეობას აფრთხილებს, რომ გარემოს დაბინძურება კანონით ისჯება.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

ვარდისუბანი

ვარდისუბანში დაახლოებით 345 ოჯახი ცხოვრობს. სოფლის მოსახლეობის ნაწილი იმერული წარმოშობისაა. ბაღჩეული კულტურებისა და ბოსტნეულის მოყვანა აქაურებისთვისაც შემოსავლის მთავარი წყაროა.

„ბებო, საღამოს ხომ დაგვხვდები?“ – მხოლოდ ამ პირობით მიდიოდნენ ცეკვის გაკვეთილებზე დალი ჭინჭარაშვილის შვილიშვილები. დალიც, ხან მარტო, ხანაც მეზობელ ქალებთან ერთად, დარსა თუ ავდარში, ჩიხიდან მთავარ გზაზე გადიოდა, ცეკვის წრიდან გამოსულ ბავშვებს ხვდებოდა და ჩაბნელებული ქუჩით, სადაც ასფალტი დაგებული ახლაც არ არის, სახლამდე მოჰყავდა.

დალი 69 წლისაა, ვარდისუბნის განაპირა მხარეს, ცენტრალური გზიდან შედარებით შორს, მეუღლესთან ერთად ცხოვრობს. მის სამეზობლოში სულ 8 ოჯახია, უბანიც შედარებით ახალი და ნაკლებად დასახლებულია. დალის შვილიშვილები დიდი ხანია, თბილისში გადავიდნენ, თავად კი, ძირითადად, მესაქონლეობას მისდევს – ქათმებს, ღორებსა და ძროხებს უვლის. ახლა მის ქუჩაზე უკვე ყველა ლამპიონი ანთია. განათების პრობლემა უბნის მაცხოვრებლებს სულ რამდენიმე წლის წინ, სოციალური მობილიზაციის დაწყების შემდეგ, აქაური ქალების აქტიურობით მოუგვარდათ.

ვარდისუბანში ახალი ურნებიც დაიდგა და ძველი, სტიქიური ნაგავსაყრელიც გაუქმდა: „გაუსაძლის მდგომარეობაში ვიყავით, ნაგავს ტომრებში ვაგროვებდით და ურიკებით ნაგავსაყრელზე ვეზიდებოდით. ახლა ოთხშაბათობით ჩამოივლის ხოლმე მანქანა და მიაქვს. ისე გამიხარდა, ეს საშინელება რომ გააუქმეს და ამკრძალავი ნიშანი აღმართეს“, – აღნიშნავს დალი.

ვარდისუბანში ერთ-ერთ პრობლემად სანიაღვრე არხები რჩება. უხვი ნალექის დროს ეზოები და სახლები კვლავაც იტბორება. ქალებს უნდათ, ეს საკითხიც გადაჭრან, შემდეგ კი სოფელში სპორტული დარბაზისა და სკვერის მოწყობაზე იზრუნონ.

დალი ჭინჭარაშვილი სახლში განათებული გზით მიდის. ეს ჩიხი წლების განმავლობაში ჩაბნელებული იყო, წვიმის დროს კი აქ გავლა განსაკუთრებით სახიფათო ხდებოდა.

ამ ადგილს ვარდისუბნის მოსახლეობა სტიქიურ ნაგავსაყრელად იყენებდა. სოციალურ მობილიზაციაში ჩართული ქალების მონაწილეობით, დღეს ეს სივრცე გამწვანებულია, აღმართულია ამკრძალავი ნიშანიც.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

კართუბანი

ყართუბანი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი დიდი სოფელია, 600-მდე ოჯახით, რომელთა დიდი ნაწილი იმერული წარმოშობისაა. მოსახლეობა მიწათმოქმედებას მისდევს და მეზობელი სოფლების მაცხოვრებლების მსგავსად, მოსავლით დედაქალაქისა და მეზობელი ქალაქების ბაზრებს ამარაგებს.

კართუბნის სკვერში სპორტული მოედანი, საბავშვო საქანელები და სამაგიდე თამაშების სივრცეებია. რეაბილიტაციამდე აქ მხოლოდ ერთი სტადიონი იყო.

კართუბნელი გოგოები სკვერში, რომელიც აქაური ახალგაზრდების საყვარელი ადგილია. სკვერი და სტადიონი სოფელში ქალების აქტიურობით მოეწყო.

ანა არუთინაშვილი და მარიამ ტაბატაძე კლასელები და ბავშვობის მეგობრები არიან. გოგოები მეცხრე კლასში სწავლობენ და როგორც სხვა კართუბნელ ახალგაზრდებს, მათაც ერთი საყვარელი გასართობი ადგილი აქვთ: სპორტული მოედანი და სკვერი, რომელიც სოფელში რამდენიმე წლის წინ გაიხსნა.

„სკვერის გარდა, სოფელში სხვა გასართობი არ არის. როცა აქ მარტო მოუვლელი სტადიონი იყო, უბანში ვიკრიბებოდით ხოლმე, ახლა კი მეგობრებთან ერთად სულ ამ სკვერში მოვდივართ. ძალიან პოპულარული ადგილია. მთელი სოფლის ახალგაზრდობა იყრის ხოლმე თავს, განსაკუთრებით საღამოობით“, – ამბობს მარიამი.

„ახალი მეგობრებიც გავიჩინეთ, ბევრი ჩვენი თანატოლი გავიცანით. ამ ადგილმა სოფელი გამოაცოცხლა, მაგრამ კარგი იქნება, თუ ტრენაჟორებიც დაემატება“,- დასძენს ანა.

სკვერის გახსნა ადგილობრივი ქალების აქტიურობის დამსახურებაა. ბევრს არ სჯეროდა, რომ შეძლებდნენ, თუმცა სოციალური მობილიზაციის დაწყების შემდეგ მათ სკვერისა და სპორტული მოედნის რეაბილიტაციასაც მიაღწიეს და ნაგვის urnებიც დაამატებინეს.

„ახალი მეგობრებიც გავიჩინეთ, ბევრი ჩვენი თანატოლი გავიცანით. ამ ადგილმა სოფელი გამოაცოცხლა, მაგრამ კარგი იქნება, თუ ტრენაჟორებიც დაემატება“.

„ვამაყობთ ამ ადგილით, იმიტომ რომ ჩვენი ინიციატივა იყო. ახლა ერთი სული გვაქვს, განათება დამონტაჟდეს და ყველას ვუთხრათ, რომ ესეც გამოვიდა“, – ამბობს თვითდახმარების ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ანა კილასონიძე.



ნაგვის urnები კართუბანში სოციალური მობილიზაციის დაწყების შემდეგ დაიდგა. დაბინძურების შემცირებასთან ერთად, სოფლის გზებზე გადაადგილება პირუტყვისთვისაც უსაფრთხო გახდა.

თელავის მუნიციპალიტეტი

რუისპირი

რუისპირი თელავის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი დიდი სოფელია, აქ 1200 ოჯახი ცხოვრობს. მოსახლეობა ძირითადად მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას ეწევა, ადგილობრივების ძირითადი შემოსავალი კი მოყვანილი მოსავლის რეალიზაციაა.

რუისპირელი გოგოები სტადიონზე ბურთს თამაშობენ. ეს ერთადერთი სპორტული მოედანი სოფელში სოციალურ მობილიზაციაში ჩართული ქალების ინიციატივით გაკეთდა.

ეკა კუკნიშვილი და დიანა პაპუნაშვილი 11 წლისები არიან. ბავშვობიდან მეგობრობენ და სკოლაშიც ერთ კლასში სწავლობენ. ეკას ფეხბურთი უყვარს, დიანას – ფრენბურთი, მაგრამ სოფლის ერთადერთ სტადიონზე გოგოები თამაშს იშვიათად ახერხებენ. შედარებით შორს ცხოვრობენ და მაშინაც, როცა მოდიან, სტადიონი დაკავებული ხვდებათ: აქ უმეტესად უფროსი ასაკის ბიჭები თამაშობენ.

სპორტული მოედანი სოციალურ მობილიზაციაში ჩართული ქალების აქტიურობით მოეწყო, თუმცა რუისპირი დიდი სოფელია და ერთი სტადიონი ყველასთვის საკმარისი არ არის. ეკას დედა, ინგა გურჯიძე, რომელიც თვითდახმარების ჯგუფის წევრიცაა, ამბობს, რომ მათ უბანშიც არის ადგილი, სადაც მეორე, თუნდაც პატარა მოედნის მოწყობაა შესაძლებელი.

„თუმცა, ესეც რომ გაკეთდა, ძალიან კარგია. მანამდე ბავშვები სპორტულ წრეებზე თელავში დადიოდნენ, ახლა კი ასეთი წრეები აქაც გაიხსნა. იქნებ გოგოების ფეხბურთის გუნდიც შეიქმნას, ეკაც ივლიდა“, – ამბობს ინგა.

> „მანამდე ბავშვები სპორტულ წრეებზე თელავში დადიოდნენ, ახლა კი ასეთი წრეები აქაც გაიხსნა“.

იმ საკითხებიდან, რომლებიც ქალებმა ადგილობრივ თვითმმართველობას წარუდგინეს, სასაფლაომდე მისასვლელი გზაც მოწესრიგდა, თუმცა პრობლემად რჩება სანიაღვრეების არარსებობა, რის გამო წვიმის დროს სოფლის გზა ხშირად იტბორება.

თელავის მუნიციპალიტეტი

ყარაჯალა

ყარაჯალა აზერბაიჯანულენოვანი მაცხოვრებლებით დასახლებული, დიდი სოფელია. აქ 2200 ოჯახი ცხოვრობს. მოსახლეობა კი, ძირითადად, მებოსტნეობას, მესაქონლეობასა და ვაჭრობას მისდევს.

65 წლის ხეირან რასულყიზი მშობლიურ ყარაჯალაში 15-წლიანი ემიგრაციის შემდეგ დაბრუნდა. მისი შვილები ახლაც ყაზახეთში ცხოვრობენ, თუმცა თავად სხვა ქვეყანაში ყოფნა ძალიან გაუჭირდა. „ასაკში რომ შევედი, სამშობლო მომენატრა და დავბრუნდი. ბოსტანი გავაშენე და ვუვლიდი“, – იხსენებს ხეირანი.

ხეირანის მსგავსად, ყარაჯალელი ქალები უმეტესად მებოსტნეობას მისდევენ. მძიმე შორმა აქვთ: ნათესების მოსავლელად გამთენიისას დგებიან, ზურგით იმხელა ტომრებს ატარებენ, ზოგჯერ მათ ქვეშ არც ჩანან და ოჯახებს ამ შრომით მიღებული შემოსავლით არჩენენ.

ხეირან რასულყიზი სარწყავი სისტემით რწყავს ბოსტანს. ამ სისტემის ამოქმედების შემდეგ ის გაცილებით უკეთ უვლის ნათესებს და მოსავალიც გაუზარდა. წყლის პრობლემა ყარაჯალაში ადგილობრივი ქალების აქტიურობით შედარებით გამოსწორდა.

მებოსტნეობისთვის სარწყავ წყალს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუმცა წლების განმავლობაში ყარაჯალაში წყალი მხოლოდ რამდენიმე ადგილას მოდიოდა, რაც ქალების ყოფას კიდევ უფრო ამძიმებდა. სოციალური მობილიზაციის დაწყების შემდეგ ადგილობრივი ქალების, მათ შორის ხეირანის მონაწილეობით, ეს საკითხი შედარებით მოგვარდა და ბევრ უბანში სარწყავი სისტემებიც გაკეთდა.

„24-საათიანი ჯერ არ არის, მაგრამ გვეუბნებიან, თანდათან სისტემები დაემატებაო, ადრინდელთან შედარებაც არაა, ისე კარგად მოდის. ბოსტნებს ბევრად უკეთ ვუვლით და მოსავალიც გაგვეზარდა“, – ამბობს ხეირანი.

ყარაჯალაში ქალების შეკრება განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა. თავიდან სულ ხუთნი იყვნენ, თუმცა თანდათან სხვებიც შემოიკრიბეს, თანასოფლელი ქალები სახლებიდან გამოიყვანეს და ახალი ცოდნა შეიძინეს. ხეირანმა ამ პროცესშიც ძალიან იაქტიურა: „მეუბნებოდნენ, ტყუილად რას დადიხარო, უსაქმური ხარო, მე კიდევ სწავლისთვის მოვდიოდი. მინდოდა, გამეგო, ჩემი უფლება რა არის, კანონი როგორია, რა შემიძლია. ოჯახებში დავდიოდი, ვეხვეწებოდი, ახალგაზრდა გოგოები გამოეშვათ, მათთვის ეს შეკრებები სხივივით იყო. ლაპარაკი ვისწავლეთ, თავდაჯერებულები გავხდით, რა ცოდნაც გვაკლდა, მივიღეთ, ჩვენი ცხოვრება გალამაზდა. ახლა უკვე დაგვაფასეს, ნახეს, რომ ქალებს დიდი ძალა გვქონია“, – ამბობს ხეირანი.

> „ოჯახებში დავდიოდი, ვეხვეწებოდი, ახალგაზრდა გოგოები გამოეშვათ, მათთვის ეს შეკრებები სხივივით იყო. ლაპარაკი ვისწავლეთ, თავდაჯერებულები გავხდით, რა ცოდნაც გვაკლდა, მივიღეთ, ჩვენი ცხოვრება გალამაზდა. ახლა უკვე დაგვაფასეს, ნახეს, რომ ქალებს დიდი ძალა გვქონია“.

ყარაჯალელი ქალების ჩართულობით, სოფლის შესასვლელში ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც პრაქტიკულად სხვა გასართობი არ აქვთ, სპორტული მოედანიც მოეწყო, გაკეთდა შიდა განათება და გზები, თუმცა ქალებს ძალიან უნდათ, ყარაჯალაში მცირე სკვერი და შეხვედრებისთვის ერთი პატარა ოთახი ჰქონდეთ.

ახმეტის მუნიციპალიტეტი

საბუე

საბუე მდინარე ილტოს ნაპირზე, ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. სოფელი ულამაზესი ლანდშაფტითა და კარგი ტურისტული პოტენციალით გამოირჩევა. თუმცა, საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, აქ არათუ ტურისტის მიღება, არამედ ყოველდღიურობაც ძალიან რთულია. სოფელში არც საბავშვო ბაღია, არც – სკოლა, არც —მაღაზია და აფთიაქი, ტრანსპორტი კი ახმეტამდე საერთოდ არ დადის. წლების განმავლობაში ამ სირთულეებმა ბევრ ადამიანს მშობლიური სახლების მიტოვებისკენ უბიძგა და დღეს საბუეში მხოლოდ 5 ოჯახი ცხოვრობს.

ხათუნა სვიმონიშვილი საბუე-ახმეტის გზაზე საკუთარი მანქანით გადაადგილდება. გზა სოფელში სოციალური მობილიზაციის დაწყების შემდეგ გაიყვანეს.

40 წლის ხათუნა სვიმონიშვილი საბუეში ახმეტიდან გადმოსახლდა. ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ ჯერ ახმეტაში ცხოვრობდა, თუმცა მთა და სოფელი ისე უყვარდა, რომ სულ მშობლიურ სოფელში, შახვეტილაში დაბრუნებაზე ოცნებობდა. „მაშინ შახვეტილაში არაფერი იყიდებოდა, ამიტომ სახლი მეზობელ საბუეში შევიძინეთ და სამ შვილთან ერთად აქ დავსახლდით“, – იხსენებს ხათუნა.

სოფელში არც საბავშვო ბაღი იყო და არც – სკოლა, ამიტომ შვილები ხათუნას ძველი, დანგრეული გზით ახმეტაში ხან – ტაქსით, ხან სხვების მანქანით დაჰყავდა.

„გზა ხომ არ იყო და არც სანიაღვრეები და ნაგვის ურნები გვქონდა. წვიმაში პირველი სართულები მუხლამდე წყლით გვეტბორებოდა, ნარჩენებს კი ხევში ვყრიდით. ისე ვნერვიულობდი, გარემოს რომ ვაბინძურებდი, მაგრამ სხვა გზა უბრალოდ არ მქონდა”, – ამბობს ხათუნა.

სოფელში სკოლა ისევ არ არის, თუმცა ხათუნას უმცროსი შვილი ახმეტის სკოლაში უკვე ახალი გზით, საკუთარი მანქანით დაჰყავს. სოციალური მობილიზაციის დაწყების შემდეგ საბუეში ასფალტი დაიგო, მოეწყო სანიაღვრეები და განათება, დაიდგა ურნები და კვირაში ერთხელ ნაგავი მანქანას სისტემატურად მიაქვს.

> „ყველაფერი, რაც გაკეთდა, განსაკუთრებით მე დამეხმარა. თუნდაც განათება რომ ავიღოთ, ირგვლივ ტყეა, ზამთარში მგლები და დათვები ჩამოდიან. შეიძლება, ნადირი ფანჯარასთანაც მოვიდეს და ეს ლამპიონები მისწრება იყო“.

ახალმა გზამ ხათუნას ოჯახს შემოსავლის მიღებაც გაუმარტივა: 4 ძროხა ჰყავს, მერძევეობას მისდევს, ყველსა და ქართული კულინარიის გამორჩეულ პროდუქტს, დამბალხაჭოს ამზადებს, რომელსაც უკვე პირდაპირ სახლიდან ყიდის. ადრე, სანამ ასფალტი დაიგებოდა, ხათუნას ახმეტის ბაზარში ჩასვლა უწევდა და უტრანსპორტობაში ძალიან წვალობდა.

„ყველაფერი, რაც გაკეთდა, განსაკუთრებით მე დამეხმარა. თუნდაც განათება რომ ავიღოთ, ირგვლივ ტყეა, ზამთარში მგლები და დათვები ჩამოდიან. შეიძლება, ნადირი ფანჯარასთანაც მოვიდეს და ეს ლამპიონები მისწრება იყო“, – აღნიშნავს ხათუნა.

ფიქრია სულაკაური სახლის აივანზე. წლების განმავლობაში 8 შვილის დედა, სარეცხის დასარეცხად, წყალს კილომეტრამდე მანძილიდან ეზიდებოდა.

ახმეტის მუნიციპალიტეტი

ქორეთი

ქორეთი პანკისის ხეობაში, ალაზნის ნაპირას მდებარეობს. შერეული სოფელია: აქ თუშები, აჭარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტები, ადგილობრივი და ლტოლვილი ქისტები ცხოვრობენ, მათ შორის, ბევრი ახალგაზრდაც. ქორეთში განსაკუთრებით მძიმე საცხოვრებელი პირობებია: აქ არც მაღაზიაა, არც – აფთიაქი, არც – ამბულატორია და ტრანსპორტი. ერთადერთი ხიდი, რომელიც სოფელს ცენტრალურ გზასთან აკავშირებს, იმდენად დაზიანებულია, რომ მოსახლეობას მასზე გავლა ეშინია.

40 წლის ფიქრია სულაკაურმა 8 შვილი ისე გაზარდა, მისი სახლის ონკანიდან წყალი ერთხელაც არ წამოსულა. თანასოფლელი ქალების მსგავსად, ისიც, წყალს კილომეტრამდე მანძილიდან, ხელით ეზიდებოდა.

ქორეთის ხიდი, რომელიც სოფელს გარე სამყაროსთან აკავშირებს, რეაბილიტაციას საჭიროებს. მისი შეკეთება ადგილობრივი ქალების მთავარი საზრუნავია.

ფიქრია სულაკაური ავსებს წყალს ონკანში, რომელიც ქუჩაშია დამონტაჟებული. პირველად წყალი ამ ონკანიდან მას შემდეგ წამოვიდა, რაც პრობლემის მოგვარებაში ადგილობრივი ქალები ჩაერთნენ.

როცა სოციალური მობილიზაციის შესახებ გაიგეს, ქალებმა უპირველესად ფიქრი სწორედ ამ პრობლემის გადაჭრაზე დაიწყეს და მალე ნაწილობრივ მოაგვარეს კიდეც.

„მახსოვს, პირველად ამ ონკანში წყალი რომ წამოვიდა, ისე გაგვიხარდა, თითქოს უდაბნოში ვიყავით. თუმცა, მაინც არ გვყოფნის, განსაკუთრებით ზაფხულში“, – ამბობს ფიქრია.

* * *

ქორეთს გარე სამყაროსთან ერთადერთი, ძველი ხიდი აკავშირებს, რომელიც აშენების შემდეგ აღარ შერემონტებულა. ქალებს სულ ეშინიათ, რომ ერთ დღესაც შეიძლება ხიდი მწყობრიდან ისე გამოვიდეს, სოფელი მთლიანად მოწყვეტილი აღმოჩნდეს, ამიტომ ახლა უპირველესად მისი აღდგენა სურთ.

„თავიდან ეგონათ, რომ ფულის გამო დავდიოდით, მაგრამ ჩვენთვის ყოველთვის ახალი ცოდნა იყო მნიშვნელოვანი. ვიცოდით, ცხოვრებაში გამოგვადგებოდა. რომ მივხვდით, რისი უფლება გვაქვს, რა შეგვიძლია, რა ძალა გვაქვს, გავთამამდით და ხმაც ამოვიღეთ“, – აღნიშნავს ფიქრია.

ქალები შეკრებებსა და მუშაობას ისევ აგრძელებენ. სოფლის ხიდთან ერთად, უნდათ, გზები გაკეთდეს, საზოგადოებრივი ტრანსპორტი დაინიშნოს და ბავშვებისთვის მცირე სკვერი მაინც მოეწყოს.

ახმეტის მუნიციპალიტეტი

წინუბანი

წინუბანი პანკისის ხეობის სოფელია. აქ დაახლოებით 84 ოჯახი ცხოვრობს, ძირითადად, ქისტები, რომელთა შორის ბევრი ჩეჩნეთიდან ლტოლვილია. მოსახლეობის უმეტესობა მცირე ოჯახურ მეურნეობასა და მეცხვარეობას მისდევს.

59 წლის ელისო ქავთარაშვილი წინუბანში დაიბადა და გაიზარდა. დაქორწინების შემდეგ ჩეჩნეთში გადავიდა საცხოვრებლად, თუმცა რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს ისევ საქართველოში დაბრუნდა.

წლების განმავლობაში ელისო ნაგავს აგროვებდა, ურიკით მთავარ გზაზე მიჰქონდა და იქ ძველ, დანგრეულ ურნაში ტოვებდა. ურნების არარსებობის გამო, სოფელში ნარჩენები გზებზე იყრებოდა. იყო შემ-

წინუბნის საბავშვო ბაღის ეზო, რომელიც წვიმაში ხშირად იტბორება და ბავშვებისთვის სახიფათო ადგილი ხდება. აქვე დგას ურნებიც, თუმცა ნაგვის გატანა სოფელში სისტემატურად ვერ ხერხდება, ამიტომ ნარჩენებით გარემო ისევ ბინძურდება.

„თავიდან ხალხს ძალიან უკვირდა, იმიტომ რომ აქაურობისთვის უცხო იყო ქალების შეკრებები. ჩვენც პირველად გამოვედით გარეთ. ერთად რომ ვიკრიბებით, თითქოს დასასვენებლად ვართ“.

თხვევები, როცა ამ ნარჩენებს ცხვარი ჭამდა, ავად ხდებოდა და მოსახლეობას მისი დაკვლა უწევდა. სოციალური მობილიზაციის დაწყების შემდეგ, ელისოსა და სხვა ქალების აქტიურობით, ურნები დაიდგა, მანქანაც დადის, თუმცა ნარჩენების გატანა ყოველთვის დროულად ვერ ხერხდება და ნაგავი მაინც გზაზე იყრება.

წინუბნელ ქალებს უწყლობაც აწუხებთ: ჭა ვისაც სახლში არ აქვს, წყალს მეზობლებიდან, ხელით ეზიდება. სოფელში არც მაღაზიაა, არც – აფთიაქი და არც – სამედიცინო პუნქტი, ამიტომ ქალებს მეზობელ დუისში ფეხით უწევთ ჩასვლა. კვირაში ერთხელ კი ახმეტის ბაზარში, საყიდლებზე, მორიგეობით, ტაქსით მიდიან. შესაკეთებელია საბავშვო ბაღის ეზოც, რომელიც წვიმაში ხშირად იტბორება.

ქალები ამ თემებზე მუშაობას აგრძელებენ. მათთვის თუნდაც ერთმანეთთან შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს: „თავიდან ხალხს ძალიან უკვირდა, იმიტომ რომ აქაურობისთვის უცხო იყო ქალების შეკრებები. ჩვენც პირველად გამოვედით გარეთ. ერთად რომ ვიკრიბებით, თითქოს დასასვენებლად ვართ“, – ამბობს თვითდახმარების ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ფატიმა მაჩალიკაშვილი.

„ქალი რომ ჩაერთვება სოფლის საქმეებში, ოჯახისთვისაც კარგია და თემისთვისაც. იმ პრობლემებს, რომლებიც ჩვენ წამოვწიეთ, კაცები არ დაასახელებდნენ. კიდევ ვმუშაობთ და ბევრი რამის შეცვლა გვინდა, რადგან გვჯერა, რომ ცვლილებების შანსი ყოველთვისაა“, – დასძენს ელისო ქავთარაშვილი.

ელისო ქავთარაშვილი წინუბნის მთავარ გზაზე ელოდება მანქანას ახმეტის ბაზარში წასასვლელად. ადგილობრივი ქალები კვირაში ერთხელ საყიდლებზე ახმეტაში ტაქსით ჩადიან.

წინუბნელი ფატიმა მაჩალიკაშვილი და ელზა ჩიქოვანი. სოფელში შიდა გზები მოსაწესრიგებელია, არც საზოგადოებრივი ტრანსპორტი დადის, ამიტომ ქალებს ხშირად წამლის ან სხვა საჭირო ნივთის შესაძენად, მეზობელ დუისში ფეხით უწევთ წასვლა.

ახმეტის მუნიციპალიტეტი

ბირკიანი

მერი ფარეულიძე საკუთარ სამზარეულოში რეცხავს ჭურჭელს. წლების განმავლობაში მას და სხვა ბირკიანელ ქალებს სარეცხისა და თუ ჭურჭლის რეცხვა ქუჩებში უწევდათ. სოციალური მობილიზაციის დაწყებამდე სოფელში წყალი მხოლოდ ქუჩებში დამონტაჟებულ ონკანებში მოდიოდა.

ბირკიანი პანკისის ხეობის სოფელია. აქ 728 მოსახლე ცხოვრობს, უმეტესად ქისტები, მათ შორის, ლტოლვილებიც. სოფელში ემიგრაციის ტალღა მაღალია, აქაურების დიდი ნაწილი სამუშაოდ სხვა ქვეყნებში მიდის.

„უფრო გამბედავები გავხდა ამ პროექტმა. გვასწავლა, რომ შეგვიძლია, ჩვენი უფლებები დავიცვათ, თამამები ვიყოთ. აქამდე მერიდებოდა რამის თქმა, ახლა ვიცი, რომ ეს ჩემი უფლებაა“.

56 წლის მერი ფარეულიძე ბირკიანში ცხოვრობს. ახლა ონკანი უკვე სახლში აქვს, თუმცა სოციალური მობილიზაციის დაწყებამდე წყალი სოფელში მხოლოდ ქუჩებში მოდიოდა. ქალებიც მას გარედან ეზიდებოდნენ, სარეცხსა და ჭურჭელს კი ხშირად პირდაპირ გზაზე რეცხავდნენ. წვიმაში ეს წყალიც მღვრიე და ტალახიანი ხდებოდა, ხოლო ზაფხულობით თითქმის სულ წყდებოდა.

„კი შემოვიყვანეთ სახლებში, მაგრამ ხარისხი მაინც პრობლემაა. დასალევად ჭის წყალს ვიყენებთ“, – ამბობს მერი, რომელიც თავადაც თვითდახმარების ჯგუფის წევრია და თანასოფლელ ქალებთან ერთად, ბევრს ეცადა, რომ ბირკიანში წყლის პრობლემა ოდნავ მაინც გამოსწორებულიყო.

წლების განმავლობაში ბირკიანელი ქალები ვერც სარეცხის მანქანას რთავდნენ, ვერც – ღუმელს და ვერც – მაცივარს. ბევრჯერ სცადეს, მაგრამ ელექტროენერგია ისეთი დაბალი ძაბვით მიეწოდებოდათ, რომ ტექნიკა იწვებოდა, ამიტომ სარეცხსაც ხელით რეცხავდნენ და პროდუქტებსაც გაჭირვებით ინახავდნენ. როცა სოციალური მობილიზაცია დაიწყო, მრგვალი მაგიდის შეხვედრაზე ეს საკითხიც გაიტანეს. შედეგად, ძაბვის პრობლემა მალევე დარეგულირდა, ქალების საშინაო შრომა კი შემსუბუქდა.

„უფრო გამბედავები გაგვხადა ამ პროექტმა. გვასწავლა, რომ შეგვიძლია, ჩვენი უფლებები დავიცვათ, თამამები ვიყოთ. აქამდე მერიდებოდა რამის თქმა, ახლა ვიცი, რომ ეს ჩემი უფლებაა“, – ამბობს მერი ფარეულიძე.

თვითდახმარების ჯგუფის წევრებს სოფელში ამბულატორიის გახსნაც უნდათ, არც შეხვედრების ოთახი აქვთ, ამიტომ ცდილობენ, პატარა სივრცე მაინც გამოძებნონ და მუშაობა გააგრძელონ.